№ 259 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მან. შაბათი 15 ნოემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალით: № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—32

კვირას 16 ნოემბერს ახალი სტილით (ძველით 3 ნოემბერს) სოფ. ნოსირის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის ქ. ბაქოში

## იონა (ვანო) პავლეს ძე კილასონიას

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულდათუთქული მშობლები: მატრონა გუძულას ასული და პავლე გვატის ძე ძმები: ლაზარე მეუღლით და შვილებით, სიმონი მეუღლით და შვილებით, ანდრო მეუღლით, პლატონი და მიხეილი (მიშა) პავლეს ძენი კილასონიები, დაი ოლია (ედუკი) პავლეს ასული კილასონია—წოწერიასი და სიძე ერმილე ალექსის ძე წოწერია.

გიორგი თევდორეს ძე ქორდანია აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, ნოემბრის 16, ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მის ძვირფას დაუვიწყარ ძმათა, ტრაგიკულად დაღუპულ

## ერეკლეს (ქიქიკო) და კონსტანტინეს (კოსტა)

სულის მოსახსენებლად—პირველის გარდაცვალების წლის თავზე, ხოლო მეორისა—ნახევარი წლის თავზე. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე, ხოლო პანაშვიდი თორმეტ საათზე.
128 1—1

## სახალხო თეატრი

ოპერა ს. ი. ცულუკიძის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.

შაბათს, ნოემბრის 15, მუშებისათვის ოპერა **დ ე მ ო ნ ი.** კვირას ნოემბრის 16-ს „აიდა“, ორშაბათს 17, „ჰოფმანის ზღაპრები“, სამშაბათს, 18, დავიდოვას მესამე გასტროლი „კარმენი“, ოთხშაბათს 19, „აბესალომ და ეთერი“.
116

## ქ. ტფილისის „სამხედრო მოსამსახურეთა“ კოოპერატივის გამგეობა

აცნობებს კოოპერატივის წევრებს, რომ ნოემბრის 16-ს, დილის 11 საათზე დანიშნულია საგანგებო საზოგადო კრება ყოფილ სასულიერო სემინარიის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1. სოციალ ფედერალ. კლუბი). დღის წესრიგი. 1. ქ. ტფილისის კოოპერატივთა კავშირიდან გამოსვლა. 2. საწევრო გადასახადი. 3. მიმდინარე საკითხები. თუ წევრთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა, საზოგადო კრება გადატანილი იქნება შემდეგ კვირისათვის 23 ნოემბრისთვის იქვე და იმავე დროს.
126

## ქართველ მომღერლების

საყურადღებოთ

ალტი, ტენორი, ბანი

## საჭიროა კაპელასათვის.

მისამართი: სლეპცოვის ქ. № 4. ქ. სამუს. სკოლა. 5—71
115

### ოფიციალური განყოფილება.

## დ ე კ რ ე ტ ი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაზრო და საქალაქო სასამართლოს საექიმო განყოფილების შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1919 წლის ივნისის 1-დან შინაგან საქმეთა სამინისტროს სამაზრო და საქალაქო სასამართლოს საექიმო განყოფილების შტატი და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ამ კანონს დართული აქვს.

2. პირველ მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთაღრიცხვის საჭიროებისათვის გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამა 1919 წლის ივნისის 1-დან 1920 წლის ივნისის 1 დე ერთი მილიონი სამას სამოცდა ცხრამეტი ათას ცხრაას ორმოცი (1.379.940) მანეთი.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ არ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა წლის მაისის 20 ს და აგვისტოს 2-ს დეკრეტების მოქმედება.

4 დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ნოემბრის 4-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ევგ. გეგეჭკორი.

## დ ე კ რ ე ტ ი

**ოსეთის სამხედრო გზის შესაკეთებლად 380.000 მან. გადადებისა.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამას ოთხმოცი ათასი (380.000) მანეთი გზატკეცილების სამმართველოს განკარგულებაში ოსეთის სამხედრო გზის შესაკეთებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ნოემბრის 4 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

## განკარგულებანი.

**მთავრობის საქმეთა მმართველობისა.**

12 ნოემბერი, 1919 წ. № 33.

პავლე იესეს ძე ცინცაძე დაინიშნოს ამა წლის 1 ნოემბრიდან მთავრობის საქმეთა მმართველობის ეგზეკუტორად; მასვე დაევალოს ხაზინადრის თანამდებობის ასრულება და არქივის მოწესრიგება.

მთავრობის საქმეთა მმართველი ქ. ჯაფარიძე.
მდივანი დიდებულიძე.

**შინაგან საქმეთა სამინისტროსი.**

7 ნოემბერი, 1919 წ. № 118.

**შტატს გარეშე დატოვებულია:** საერთო წესით მარტყოფის პუნქტის ფერშალი იოსებ თუშმალოვი, ამა წლის 1 თებერვლიდან აღნიშნულ პუნქტის ტფილისის საერობო გამგეობის გამგებლობაში გადასვლის გამო.

მინისტრი ნ. რამიშვილი.

**მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.**

18 ოქტომბერი, 1919 წ. № 350.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: შინა მრეწველობის გორის სახელოსნო განყოფილების კალათების დაწვნის ინსტრუქტორის თანაშემწე ვ. ნადირაშვილი ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

**ინიშნება:** მღვდელი ანდღულაძე ოზურგეთის სართავ სახელოსნოს გამგეთ ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

№ 351.

**დამტკიცებულია:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს ქუთაისის საიურისკონსულტო განყოფილების კანცელარიის შტატის მოსამსახურედ. ამავე თანამდებობაზე დროებით მოწვეული იოსებ ივანეს ძე ალტიკარმაკი ამა წლის 1 აპრილიდან.

მინისტრის მაგიერ პ. გელეიშვილი.

21 ოქტომბერი, 1919 წ. № 352.

**დროებით ინიშნება:** ნ. ი. თუშმალიშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 353.

**ინიშნება:** მ. დ. მდივანი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

**ამაღლებულ იქმნას:** ვ. ა. ზასლავსკი მეორე ხარისხის ტყის გამგე პირველ ხარისხით.

23 ოქტომბერი, 1919 წ. № 354.

**ამაღლებულ იქმნენ:** უფროსი ტყის რევიზორები ი. ი. ზაგრტეგერი და დ. ვ. ქარსელაშვილი უფროს ტყის რევიზორებათ.

№ 354.

**ინიშნებიან:** რაიონის ტყის რევიზორებად: პირველ რაიონის ტყის გამგე ი. გ. სუკერი; მეორე მარტყოფ იორის ტყის გამგე მ. ნ. ნახუციშვილი; მესამე საგურამოს ტყის გამგე პ. ნ. ლავრინენკო, მეოთხე ახალციხის ტყის გამგე მ. ი. ხუციშვილი; მეხუთე შორაპნის ტყის გამგე ი. რ. მაისურაშვილი; მეექვსე რაჭის ტყის გამგე ა. ხ. ჯოხაძე; მეშვიდე კოდორის ტყის გამგე ნ. ს. ზაკლინსკი, იმავე სატყეობებში რჩებიან გამგეთ.

№ 355.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ე. ნ. ბენიაცკი მეორე ხარისხის ქსანკის ტყის გამგე, 21 ღვინობისთვიდან ლიკვიდაციის ფულის მიუცემლობით.

24 ოქტომბერი, 1919 წ. № 356.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან: მიწათ-მოქმედების სამინისტროს საძოვარ-საიჯარო განყოფილების გამგე ს. მაჩაბელი ამა წლის 22 ოქტომბრიდან თანახმად მისი თხოვნისა.

**დაშვებულია:** ამავე თანამდებობაზე მიხეილ ბიბინეიშვილი ამა წლის 22 ოქტომბრიდან.

18 ოქტომბერი, 1919 წ. № 357.

**ინიშნებიან:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამართველოში კონსტანტინე ნოშრევანის ძე ფერაძე, მიხეილ ვლადიმერის ძე რომანოვი და ვსევოლოდ ნიკიფორის ძე ანჯევი. პირველი ორი ტეხნიკად, მესამე კი მოახგარიშედ. სამივე ღვინობისთვის 18.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

### არა ოფიციალური განყოფილება

## სახალხო განათლების სამინისტროში

**შუამდგომლობანი**

ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა თ. კიკვაძემ გამგეობის დავალებით სახალხო განათლების მინისტრს მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც შუამდგომლობს, გადმოეცეს წ. კ. საზოგადოებას მთავრობის ერთ-ერთი სტამბა. შუამდგომლობას მოხსენების ავტორი შემდეგის მოსაზრებით ასაბუთებს.

საზოგადოება ჩვენის რესპუბლიკისათვის ფართო მასშტაბით აწარმოებს კულტურულ განმანათლებელ მუშაობას. ბეჭდავს მრავალს სახელმძღვანელო წიგნებს და ამას გარდა შედგენილია და გამოსაცემად დამზადებული პირველ და მეორე ხარისხოვან ქართველ მწერალთა ნაწარმოებნი.

საზოგადოება ცდილობს გაამდიდროს ჩვენი ლიტერატურა ახალის ორიგინალურ ნაწარმოებთა გამოცემით: სახელმწიფო სტამბაში იბეჭდება ახალი ორიგინალური წიგნი „ინგლისის მოკლე ისტორია“ გ. ნათაძისა. დამზადებული აქვს დასაბეჭდათ ახალი, ორიგინალური, 600 გვერდიანი მოთხრობა „ახალი ტალღები“, რომელშიაც აწერილია და ხელოვნურად დასურათებული 1905 წლის რევოლიუცია. აგრეთვე დამზადებულია დასაბეჭდათ ბ-ნ ჯავახიშვილის ახალი წიგნი: „მე-XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურის მიმოხილვა და სხვა. საზოგადოება დიდს ყურადღებას აქცევს უცხო მწერალთა გადმოთარგმნას და უკვე შეკვეთილიც აქვს კლასიკების გადმოთარგმნა, რისთვისაც მოწვეული ჰყავს 10-დე დახელოვნებული მთარგმნელი.

დღეს საზოგადოება ხუთს სტამბაში ბეჭდავს ოცზე მეტს წიგნს, რომელთა შორის ათი სახელძღვანელო წიგნია. დანარჩენი მოროგი წიგნების ბეჭდვა კი შეჩერებულია, ვინაიდან გამგეობამ სტამბა ვერ იშოვა. საზოგადოებას განზრახვა აქვს, 1920 წლის განმავლობაში გამოსცეს არა ნაკლებ 100—150 სხვა და სხვა სახელწოდების წიგნისა.

ცხადია ასეთ დიდ მუშაობისთვის აუცილებლად საჭიროა, ჰქონდეს საზოგადოებას საკუთარი, კარგად მოწყობილი სტამბა. ეს შეძლებას მისცემს საზოგადოებას, რომ თანდათანობით და შეუჩერებლივ აწარმოოს წიგნების გამოცემის საქმე და გაცილებით იაფად გამოსცეს წიგნები, ვიდრე ახლა, რაიც შეღავათს მისცემს ჩვენს ახალს სკოლას.

მოახსენებს რა ზემოთქმულს მოქალაქე მინისტრს, საზოგადოების გამგეობა შუამდგომლობს, რომ მთავრობამ დაუთმოს მას შეღავათიან პირობებში ერთ-ერთი თავისი სტამბა: ან ის, რომლის გამცეც ა. არაბიძეა, ან სამხედრო შტაბის სტამბა.

წ. კ. საზოგადოების გამგეობის დავალებით საგამომცემლო საქმის გამგემ თედო კიკვაძემ სახალხო განათლების სამინისტროს მეორე მოხსენებაც წარუდგინა, რომელიც ქაღალდის საკითხს ეხება. მოხსენების აზრი შემდეგია:

1920 წლისთვის გამგეობამ უკვე დაამზადა დასაბეჭდად 100 წიგნზე მეტი. მათში 20 მდე სახელმძღვანელო წიგნია, დანარჩენი საბავშო და საზოგადო ხასიათის წიგნებია. გამგეობა აღნიშნულ წლის განმავლობაში კიდევ შეიძენს არა ნაკლებ 40—50 წიგნისა. ამ გეგმის განსახორციელებლად საჭირო იქნება დაახლოებით 15,000 ფუთი ქაღალდი, რაც დღევანდელ ფასების მიხედვით ეღირება ექვსი მილიონი მანეთი. საზოგადოებას, რა თქმა უნდა, ამოდენა თანხა არა აქვს და არც შეუძლიან ნაღდ ფულზე შეიძინოს ქაღალდი. აქვე აღსანიშნავია, რომ გამგეობას მონოპოლურად შეძენილი აქვს თითქმის მთელი ჩვენი ბელეტრისტიკა და პოეზია, რითაც ის ცდილობს წიგნის გამომცემლობის საქმეში ჩარჩების ალაგმას და სამართლიანის ფასების დამყარებას. დღეს წიგნის ბაზარი დაცარიელებულია და ასეთი მდგომარეობა შემდეგშიაც დააქვეითებს და შეაჩერებს ჩვენი კულტურის ზრდას.

ზემოხსენებული გარემოება იძულებულ ჰყოფს გამგეობას აღძრას შუამდგომლობა, რომ მოქალაქე მინისტრმა მიიღოს ზომები საზოგადოების ქაღალდით უზრუნველსაყოფად შემდეგს საფუძველზე.

1) დღესვე გადაეცეს გამგეობას 9—10 ათასი ფუთი წიგნის ქაღალდი მხოლოდ თავის საწყობებში შესანახად, რის ჯეროვნად მოვლა შენახვაში გამგეობა პასუხისმგებელი იქნება რესპუბლიკის მთავრობის წინაშე, 2) გამგეობას უფლება მიეცეს შესანახად მიბარებული ქაღალდი დახარჯოს ნაწილ ნაწილად, საჭიროების და კვალად, და დასახარჯი რაოდენობის ფასი წინასწარ შეიტანოს ხაზინაში.

მთავრობა მომარაგებული ქაღალდის მთელ რაოდენობას, ვფიქრობთ, ბაზარზე არ გაუშვებს, რომ საქონლის დაზოგვით ფასებზე გავ-

**სამშობლო მოგიწოდებთ, მოქალაქენო, აასრულოთ თქვენი მოვალეობა. სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვეული არიან 1899 წელში დაბადებულნი. ახალგაზრდებო! საქართველო მოგიწვევს თქვენ, რათა იარაღით ხელში გუშაგათ გაუხდეთ მას. ვინც გაექცევა მას,—ის მოღალატეა! სასტიკი პასუხი ასეთ მოღალატეს.**

ლენა იქონიოს, ამიტომ გამგეობა ფიქრობს, რომ მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილება მთავრობისთვის მისაღები და მიზანშეწონილიც იქნება. ამრიგად გამგეობას შეეძლება პირნათლად ემსახუროს ჩვენი ქვეყნის კულტურის წარმატების საქმეს და ამავე დროს თვით საქონლის მომარაგების მიზანიც მიღწეული იქნება.

ბ-ნი მინისტრი ორივე შუამდგომლობას თანაგრძნობით ეკიდება.

## იუსტიციის სამინისტროში

**საგარეჯოში მომრიგებელ მოსამართლეთა კამერის გახსნისათვის.**

იუსტიციის სამინისტრომ დეპეშით აცნობა საგარეჯოს თემის თავმჯდომარეს, რომ წინადადება მიეცეს ადგილობრივ სამაზრო ერობის გამგეობას, რათა უკანასკნელმა დახმარება აღმოუჩინოს საგარეჯოში დანიშნულ მომრიგებელ მოსამართლეს კამერისათვის ბინის შოვნაში და თვით კამერის გახსნის საქმეში.

## მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

**ქალაქის მახლობლად მდებარე ადგილები.**

მიმდინარე წლის 28 იანვრის კანონის მე-17 მუხლის შენიშვნის თანახმად ქალაქის მახლობლად მდებარე ადგილები, ვენახები და გაშენებული მიწები უნდა გაიყიდოს ნამდვილ ღირებულების მიხედვით.

**საფონდო მიწების ღირებულება.**

აგრარულ რეფორმათა განყოფილების ინიციატივით მოწვეული იყო ამ დღეებში განსაკუთრებული თათბირი იმის შესახებ, თუ რა წესით შეიძლება გამოანგარიშებულ იქნეს ზემოთ აღნიშნული საფონდო მიწების ნამდვილი ღირებულება.

თათბირმა სასურველად დაინახა ეს საკითხი წინასწარ დასკვნისათვის გადასცემოდა სასოფლო სამეურნეო განყოფილების საკრებულოს.

**შუამდგომლობა.**

ქალთა და ბავშვთა დაცვის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მიწათ მოქმედების სამინისტროს წინაშე ტფილისის ყოფილ საბაღოსნო სკოლის შენობის ხსენებულ საზოგადოებისთვის გადაცემის შესახებ.

## ტყით სარგებლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მტრები ამუშავდნენ. დღე არ გავა ისე, რომ სადმე წვრილმანი გამოსვლა არ მოახდინონ და წესრიგი არ დაარღვიონ. მათ უმთავრესად თავის გარშემო შემოკრიბეს საზოგადოების ნაძირალები, მარა არის ისეთი შემთხვევები, როცა ისინი ამ მოღალატურ გამოსვლებში თითო ოროლა გულუბრყვილო სოფლის მცხოვრებთაც ითრევენ. ამას სჩადიან ისინი შეუგნებელ მასაში პროვოკაციული ხმებისა და ყალბი ცნობების გავრცელებით. ავრცელებენ ხალხში ისეთ ჭორებს, როგორიც არის მაგალითად: ფანჯრებზე, კარებზე და სხვ. ბეგრის დადება სახელმწიფოს მიერ. ამ ბოლო დროს ეს პროვოკაციული მუშაობა ჩვენში სატყეო პოლიტიკის გარშემოც გააცხოველეს. ყალბათ აცნობენ სოფლელთ სატყეო კანონს და მიუწოდებენ მათ ტყეების გასანადგურებლად.

არსებული კანონით ტყეები საერთოდ სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს. ეს აზრი გატარებულია ამიერ კავკასიის კომისარიატის 16 დეკემბრის დეკრეტში, მაგრამ ეს არის ზოგადი დებულება, რომელსაც განმარტება და პრაქტიკული ფორმებში ჩამოყალიბება ესაჭიროება.

პირველ ხანებში საადგილ-მამულო კომიტეტებმა ბევრ ალაგს კომისარიატის დეკრეტი ისე გაიგეს, თითქო მესაკუთრეებს ბუჩქნარი და ხეებით დაფარული პატარ პატარა ადგილებიც უნდა ჩამორთმეოდათ. მაგრამ მიწათმოქმედების სამინისტრომ განმარტება გამოსცა, რომლითაც ასეთი ადგილები გლეხებისა და მიწათმფლობელებისათვის ნორმაში უნდა დაეტოვებიათ, თუ კი ამის სურვილს გამოაცხადებდნენ. ამით მოისპო მრავალი გაუგებრობა, რომელსაც პირველად კანონის გატარებისას ადგილი ჰქონდა სოფლად.

ერობებთან შეთანხმებით სამინისტრომ გამოსცა აგრეთვე განკარგულება, რომლითაც სოფლის მცხოვრებთ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ შეშა, ჭიგო, და სხვ. ძლიერ დაკლებულ ფასებში ეძლევათ, ხოლო ხმელი ნაყარი ტოტები სრულიად უფასოდ.

გარდა ამისა მიწათ-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა და მალე დამფუძნებელ კრებაში წარადგენს სატყეო წესდებას, რომელიც დაწვრილებით აწესრიგებს ტყის მოვლა პატრონობისა და მოხმარების საკითხს. მანვე შეადგინა კანონ-პროექტი, სადაც ის აზრია გატარებული, რომ ზოგიერთი ტყეები, რომელთაც დაცვითი ხასიათი არ აქვს და სოფლის ახლომდ ებარეობენ, საიდანაც უკანასკნელი სარგებლობს შეშის, წნელის, ჭიგოსა და სხვა ასეთი მასალით, თემებს გადაეცეს საკუთრებად საერთო სარგებლობისათვის. აქვე აღნიშნულია ისიც, რომ ვისაც ტყეები ჩამოერთვა, ხოლო მიწის სხვა საკუთრება არ გააჩნდა, მათ ნორმაში ან ტყის ნაწილი მიეცემა ან საფონდო მიწებიდან დაკმაყოფილდებიან.

გლეხთა მიწათ-მფლობელობის გასაფართოებლად, სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე ზოგიერთი დაბლობი ადგილების ტყეების გაჩეხა და მათი სახნავ-სათესს მიწებათ გადაქცევა.

დანარჩენი ტყეები კი უსათუოდ დაცულ უნდა იქნან და იქ უნდა სწარმოებდეს სწორი სატყეო მეურნეობა. ამაში დაინტერესებულია როგორც სახელმწიფო, ისე კერძოთ სოფლელები. ჩვენი ქვეყანა მთაგორიანი ადგილია, აქ დაუზოგველად ტყეების მოსპობა იწვევს ჰავის შეცვლას, რასაც შედეგად მოსდევს ბევრი ადგილების წყალდიდობისაგან განადგურება წვიმების დროს, ხოლო სხვა შემთხვევებში წყლების დაშრობა და მთელი მინდორ-ველების უდაბნოდ ქცევა.

ეს კარგად უნდა გაითვალისწინონ სოფლის მეურნეებმა და ამიტომ არ უნდა ეუცხოოთ ის, რომ სახელმწიფო დაზოგვითა და ანგარიშით აწარმოებს სატყეო მეურნეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას განუზომელი ზარალი მოუვიდოდა და თუ ახლანდელი არამომ ვალი თაობა მაინც წყევა-კრულვით მოიხსენიებდა იმ წყობილებას, რომელმაც ვერ იოუარა და გაანადგურა ხალხის ეს ძვირფასი კუთვნილება.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ისიც, რომ ტყე საქართველოს რესპუბლიკის დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს. საქარხნო და საფაბრიკო მრეწველობა ჩვენში ჯერჯერობით თითქმის სულ არ არის განვითარებული; მრავალი საჭირო დამზადებული საქონელი უცხოეთიდან უნდა შემოვიტანოთ. დღესაც ჩვენ დიდ საჭიროებას ვგრძნობთ უცხო ქვეყნების ნაწარმოებში, მარა მათი შემოტანა შეიძლება, თუ რაიმე სამაგიეროს გავიტანთ უცხოეთში ჩვენთვის საჭირო საქონელზე გადასაცვლელად ან იქაური ფულის შესაძენად. ამ გასატან საქონელთა შორის კი ხე-ტყის მასალას შეუძლია საპატიო ადგილი დაიჭიროს, თუ ტყეებს სათანადოდ მოუვლით და დავამუშავებთ. ასე რომ ტყეების რაციონალურ ექსპლოატაციას შეუძლია ძალზე შეასუსტოს ჩვენი ფინანსიური და ეკონომიური კრიზისი. ეს ყველამ კარგად უნდა შეიგნოს და ხელი შეუწყოს მთავრობას ამ ბუნებრივ სიმდიდრის ჯეროვანად დაცვა-გამოყენებაში.

რაც სოფლისათვის აუცილებელია, ის, რასაკვირველია, მას მიეცემა და სოფლის საჭიროება დაკმაყოფილდება. როგორც ვსთქვით, ამ მიზნის განსახორციელებლად მოკლე დროში გადადგმული იქნება მთელი რიგი ნაბიჯები, რომლებიც საბოლოოდ მოაწესრიგებენ სოფლად ტყით სარგებლობის საკითხს.

საჭიროა მხოლოდ ყველა გვერდში ამოუდგეს მთავრობისა და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს, რათა სისწორით და საჩქაროდ იქნას ცხოვრებაში გატარებული განზრახული ზომები.

ტყის მოურავებს და საერობო თვითმართველობათ უკვე დაევალათ მიწერილობა, რათა მათ ადგილობრივ დაწვრილებით გამოარკვიონ ტყეების საკითხი. ეს მასალა საფუძვლად დაედება კითხვის ადგილობრივ პრაქტიკულად გადაჭრას.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

## ტფილისის თვითმმართველობაში.

**ტანისამოსი სადეზინფექციო კამერისთვის.**

ქალაქის სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა ე. მეუნარგიამ ქალაქის გამგეობაში მოხსენება გააკეთა იმის შესახებ, რომ თანახმათ ქალაქის საბჭოს დადგენილებისა 20 მაისს 1918 წ. ტანთსაცმელი ეძლევათ ქალაქის სადეზინფექციო კამერის მსახურებს, დანარჩენ მოსამსახურეებს კი არა. ამავე დროს სადეზინფექციო კამერის სანიტარები, რომელთაც გადაყავთ ავადმყოფები და აკეთებენ დეზინფექციას და ფერშლები, რომელთაც ახლო დამოკიდებულება აქვთ ავათმყოფებთან, უეჭველათ საჭიროებენ შესაფერ ტანისამოსს. იმის გამო, რომ მათ არა აქვთ შესაფერი ტანისამოსი, ხშირათ ადგილი აქვს გაუგებრობას, მოქალაქენი არ უშვებენ სახლში დეზინფექტორებს და არ აძლევენ მათ ნებას დეზინფექცია გააკეთოს. სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა ითხოვა მიეცეს ტანისამოსი ქალაქის სადეზინფექციო კამერის ყველა მოსამსახურეებს, როგორც ყოფილა 1918 წლამდე.

ქალაქის გამგეობა საჭიროთ სცნობს, რომ მიეცეს ტანისამოსი ქალაქის სადეზინფექციო კამერის ყველა მოსამსახურეებს. ამის შესახებ მოხსენდეს ქალაქის საბჭოს, რათა უკანასკნელმა ნება დართოს ქალაქის გამგეობას ყოველ წლიურათ გაიღოს განსაზღვრული თანხა ამ საჭიროებისათვის.

**ქალაქის საძეხვე ქარხანა.**

გამგეობის წევრმა ი. ი. ბესელიძემ ქალაქის გამგეობაში მოხსენება გააკეთა ქალაქის საძეხვე ქარხნის მოწყობის შესახებ. ოქტომბრის 2 ამხ. „ნაგელ და ჯოვანის“-ს წარმომადგენლებმა შუამდგომლობა აღძრეს გამგეობის წინაშე, რათა მათ მიეცეთ ბინა ქალაქის საყასბოში ძეხვების დასამზადებლათ. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს წინადადება და მიანდო ბესელიძეს, ამ საკითხის გამორკვევა და თავის აზრის წარმოდგენა.

ბესელიძის აზრით არ არის სასურველი, რომ კერძო პირს მიეცეს ამ საქმის ქალაქის საყასბოში მოწყობა, რადგან თვით ქალაქის გამგეობას აქვს საშუალება თვით ისარგებლოს არსებულ ხელსაყრელ პირობებით და გამოიჩინოს მუნიციპალურ საძეხვე ქარხნის დაარსებაში. ამასთანავე ბესელიძემ გამგეობას წარუდგინა კონტროლის თანხმობა და აგრეთვე დაახლოვებითი ხარჯთ-აღრიცხვა საძეხვო ქარხნისა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის საყასბოში მუნიციპალურ საძეხვო ქარხნის მოწყობა მოწონებულ იქნას.

ამ საქმის ხელმძღვანელობა მიენდოს სასურსათო განყოფილებას, რომელმაც დაახლოვებით უნდა იხელმძღვანელოს მოხსენებასთან დართულ ხარჯთ-აღრიცხვით. საძეხვო ქარხნის შემოსავალი უნდა შედიოდეს სასურსათო განყოფილების სალაროში. მიენდოს გამგეობის წევრს კ. პანიევს ამ მიზნისთვის საჭირო შტატის შედგენა.

## სატარიფო პალატაში

(10 ნოემბრის სხდომა)

**ცხოვრების გაძვირება პროვინციაში**

**მ. ნ. მანდელშტამი** სხდომას მოახსენებს, რომ პროვინციაში ცხოვრების გაძვირების პროცენტი ასეთია:

1 ივლისიდ ნ ცხოვრება გაძვირებულა: სოხუმში—43,12 პროცენტით, ფოთში—33,06; ქუთაისში—5,9; თელავში 48; ბორჯომში 8,95; ოზურგეთში 14,66; სამტრედიაში—21,44; ახალ-სენაკში—0,79 და ახალციხეში—18,72 პროცენტით.

პროვინციისთვის ხელფასის გადიდების რაოდენობის შესახებ მცირე კამათის შემდეგ პალატა ადგენს პროვინციაში გაიგზავნოს სატარიფო პალატის სესია შემდეგი დირექტივებით:

1) პროვინციისთვის მომატება საშუალოთ უნდა უდრიდეს 40 პროცენტს.

2) ცხოვრების გაძვირების პროცენტი ადგილობრივ უნდა გამოირკვეს.

3) რადგანაც განზრახულ მომატების მიზანია საშუალება მისცეს მუშებს მეტი საგნები შეიძინოს მომარაგების ფონდიდან, ტარიფის დაწესების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ტფილისში არსებული ფასები ფონდიდან მისაცემ საგნებზე.

**ტარიფების დამტკიცების წესი.**

ტარიფების დამტკიცების წესის შესახებ სატარიფო პალატა იღებს შემდეგ დადგენილებებს:

1. თუ ტარიფი წესდება 40 პროცენტის ნორმალურ მომატებით და უთანხმოებას არ იწვევს მწარმოებელთა და მუშათა შორის და პრეზიდიუმში, უკანასკნელი ამტკიცებს ტარიფს პლენუმში გადაუტანებლივ.

2) თუ ორივე მხარის თანხმობით ტარიფში შესწორებები შეაქვთ, ამ შემთხვევაშიაც მას პრეზიდიუმი ამტკიცებს.

თუ რაიმე უთანხმოება მოხდა მუშათა და მწარმოებელთა შორის და პრეზიდიუმში ტარიფის დამტკიცება პლენუმში გადადის.

**სხვა და სხვა დაწესებულების მუშა მოსამსახურეთა ტარიფები.**

მცირე კამათის შემდეგ პალატა ადგენს: ბორჯომის საავადმყოფოს და მილიციის მსახურებზე გავრცელდეს 1 აგვისტოდან დეკრეტი 30 პროც. მომატების შესახებ.

სომეხ-ექიმთა მოსამსახურეებს მოემატოთ 50% ნოემბრის 1-დან.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის წესდება 20%-ის მომატება 1 აგვისტოდან.

ბამბის დასაწმენდ და საქსოვ ქარხნების მუშებს და მოსამსახურეებს 1 სექტემბრიდან კიდევ ემატებათ 15%.

ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის მოსამსახურეთათვის წესდება თვეში 200 მან. ბინით და ჭამა-სმით.

**ახალი ტარიფების დამტკიცების შესახებ**

თანახმად დობორჯგინიძის განცხადებისა სატარიფო პალატა ადგენს წინადადება მიეცეს პრეზიდიუმს უახლოეს დღეებში ტფილისისთვის ყველა ტარიფები შეიმუშავოს და დაამტკიცოს. სადაო ტარიფების განსახილველათ კი 13 ნოემბრისთვის სატარიფო პალატის სასწრაფო სხდომა დანიშნოს.

## დამფუძნ. კრების კომისიაში

**სტადიონის მოწყობა.**

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიაში გერ. ქიქოძემ დაწვრილებითი მოხსენება გააკეთა ვაკეში სტადიონის მოწყობის შესახებ და გააცნო კომისიას სპეციალისტების აზრი ამ სტადიონის შესახებ. ქალაქის გამგეობას აზრათ აქვს სტადიონამდე ტრამვაი ან ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანოს და სტადიონის ირგვლივ მთის კალთებზე ხეები დარგოს.

სტადიონის ასპარეზი იქნება 100×200 კვადრატიულ საჟენის სიფართოვისა. გამოირკვა, რომ ქვის ამფითეატრის აშენება მეტად ძვირი დაჯდება; ამიტომ იგი უბრალოდ უნდა გაიმართოს მთის კალთების შესაფერისათ გათხრით.

## მისტერ უორდროპი კახეთში.

8 გიორგობისთვეს მთელს ქიზიყს ხმა მოედო ინგლისის წარმომადგენელი მისტერ უორდროპი კახეთში მოემგზავრება და ქიზიყზე აპირობს გამოვლასო. ხმა გამართლდა. ქიზიყის სოფლებიდან აყარებულმა ხალხმა იწყო დენა სიღნაღისკენ. დილის ექვს საათზე დასი და დასი ცხენოსანი ხალხი ეროვნულ ბაირაღებით მელაანიის სადგურისკენ მიეშურებოდა. მელაანიდან უკვე გვარდიას გამოეცილებინა ორი ავტომობილით, სადაც ისხდნენ მისტერ უორდროპი, ორი მისი თანაშემწე და თ-დი მამუკა ორბელიანი. ცხენოსანი რაზმები გზად გზა უხვდებოდნენ. ბოდბისხეველნი და ჯუგაანელნი მშვენივრად გამოწყობილნი ეროვნული დროშებით სანდრო შანშიაშვილის მეთაურობით მიეგებნენ ნუკრიაანის დაღმართზე. სანდრო შანშიაშვილი მკირეოდენ სიტყვით მიესალმა. ხალხმაც ერთხმად „გაუმარჯოს“

# საქართველოს მტრები არ ისვენებენ და ზურგში მახვილის ჩაცემით ლამობენ რესპუბლიკის დამხობას. მოსყიდული აგენტები, ავაზაკებთან და დეზერტირებთან ნაძირალებთან ერთად აწყობენ ხულიგანურ გამოსვლებს, ისწრაფიან ჩვენი ქვეყანა ჩაახრჩონ ანარქიის ტალღებში. დემ. რესპუბლიკას თავს ესხმიან.

**მის დასაცავად მისი დარაჯი ფეხზე დადგა. მოქალაქენო! შემოკრბით მთავრობის გარშემო. დაირაზმეთ ქვეყნის ერთგულ დემოკრატიულ ლაშქართან ერთად ბრძოლა სასტიკი რესპუბლიკის მტრებს! ბრძოლა დაუნდობელი და გადამწყვეტი დეზერტირთ—ავაზაკთ—კომუნისტებს.**

ძახილით ავტომობილები ბოდბის მონასტრისკენ გამოაცილეს. სასიამოვნო სანახავი იყო. ავტომობილის გარშემო, სადაც მისტერ უორდროპი იჯდა ცხენოსანი ხალხი ბუზივით ირეოდა. ზოგი აჯირითებდა და ზოგიც იორღა ცხენით აუვლ ჩაუვლიდა. ავტომობილის წინ ტანად ვაჟკაცი „ძიკოს ბიჭი“ და ერთიც სხვა ორ ეროვნულ დროშას მიაფრიალებდა. ალაზნის ველს რომ გადავხედეთ, სტუმრებმა ფოტოგრაფიით სიღნაღის და საერთო სანახაობის სურათი გადაიღეს, მივაცილეთ ბოდბის მონასტერში, სადაც დაჰხვდნენ იღუმენია, ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი, სიღნაღის ერობის წარმომადგენელნი: მათე ახმეტელაშვილი, დავით კარიჭაშვილი, ი. კრაწაშვილი, ადგილობრივ გვარდიის შტაბის უფროსნი და სხვა პატივცემულნი პირნი. გადიხადეს პარაკლისი, შემდეგ უორდროპმა დაათვალიერა ბოდბის მონასტერი. ჩაიზე მიიწვიეს. შემდეგ მივაცილეთ ქ. სიღნაღში, სადაც აუარებელი ხალხი მოელოდა. მოკლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვით მიეგება კ. ტყავაძე. შემდეგ ამისა ძვირფასი სტუმრები მიიწვიეს მცირე ნადიმზე, რომელსაც მასპინძლობდა ექ. ნიკო ჯანდიერი. სუფრა მშვენიერი იყო. მღეროდნენ ადგილობრივ კარგად მომღერალნი ილია სარაჯიშვილი, ნ. ციციშვილი, დ. ნანობაშვილი და სხვები. უთხრეს სიტყვები კ. ტყავაძემ, მ. ახმეტელაშვილმა. ქიზიყის გლეხების სახელით მიესალმა პოეტი სანდრო შანშიაშვილი, რომლის მოკლე სიტყვამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა; აი შინაარსიც: „მე დამავალეს ქიზიყის გლეხებმა გიძღვნათ სალამი და სალამთან ერთად თხოვნა მცირედი. მისტერ უორდროპის მობრძანების ამბავი ხალხს ელვის სისწრაფით მოედო: „იმის ძმა მოდის, ჩვენი შოთა რომ თარგმნაო!“ ასე ეუბნებოდნენ ერთმანეთს გლეხები. ჩვენს მდაბიო ხალხს გაგონილი აქვს თქვენი დის მისს უორდროპის მოღვაწეობა, რომ მან ინგლისურად ჩვენი სათაყვანებელი და საყვარელი „ვეფხის ტყაოსანი“ გადათარგმნა და თვით თქვენი დაი ჩვენი ხალხისთვის სათაყვანებელი და საყვარელი შეიქმნა. თქვენი სახელი და ხსოვნა საქართველოში იმ დრომდე უკვდავი იქნება, სანამ უკანასკნელი ქართველი იცოცხლებს. თქვენც, თქვენს დასებრ საქართველოსთვის კეთილი გსურთ—ამას ჩვენი ხალხი გულში იდუმლად ჰგრძნობს, თუნდაც ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ გაგვიცხადოთ. თქვენი დუმილი უფრო მჭერმეტყველურია პატარა, მრავალ-ტანჯულ საქართველოსთვის. დე, აგრეც იყოს! და აი ის თხოვნაც, რომელიც მე, ჩემი ერის პატარა მგოსანს, დამავალეს: როდესაც დაბრუნდებით შექსპირის, მარლოს, ბაირონის, შელლის და სხვა ბუმბერაზ მგოსნების სამშობლო ბრიტანეთში, მის ხალხს და მთავრობას გადაეცით, რომ პატარა რაინდ საქართველოს სწყურიან სიცოცხლე; რომ ჩვენც გული გვიცემს კეთილ და წესიერ ცხოვრებისადმი. გვწყურიან კერის და ოჯახის სიმშვიდე. გვხოცამდნენ და არა კვდებოდით, გვმარხავდნენ, მაგრამ ფეხზე ვდგებოდით. გვდევნიდნენ, მაგრამ სიყვარულით ვიმარჯვებდით. ჩვენც გვინდა ვითა სულდგმულთ, შევნატროდეთ ამ მაღალ მთებიან ამომავალ მზის სხივებს და ვილოცოთ, როგორც შოთა ლოცულობდა. უთხარით თქვენ ხალხს და სადაც კი ხმა მიგიწვდებათ, რომ ბევრი ვიტანჯეთ ტარიელივით სატრფო სამშობლოს ძიებაში, ბევრჯერ დაგვანგრიეს, მაგრამ აღვდექით. დღეს ვიპოვეთ თამარის ნაანდერძევი საქართველო და შევხარით მის თავისუფლებას. უთხარით, რომ ჩვენში ძველი მამაპაპური სული აღდგა სახელმწიფოს აღშენებისა და ხალხის ხელმწიფების დასამყარებლად ისეთს კანონსა და სასტიკ წესზე, როგორიც ეს დიდ ბრიტანეთს აქვს. მხოლოდ მან ხელი გამოგვიწოდოს და ჩვენს თავს ახლად აღორძინებულს ძველს საძირკველზე ჩვენზე ძლიერს სახელმწიფოს ნუ გააქელვინებს. დანარჩენს შინაურს თუ გარეშე მტერს ჩვენ თვით გაუმკლავდებით, უკეთუ ბოროტს მოგვინდომებენ. მაშინ ნახავთ, რომ ქართველი ხალხი მართლა რომ ქართველი ხალხია. მართლა რაინდია და რაინდულადვე ასახელებს მფარველს დიდს ბრიტანეთს. სალამი თქვენ და დღეგრძელობა პატარა ერების მფარველ ბრიტანეთს!“.

საზოგადოება ზოგი აცრემლებული და ზოგი აღტაცებული მიეგება. ამ სიტყვის შინაარსი წერილობით გადაეცა. შემდეგ ამისა გვარდიის სახელით მიესალმა მიხეილ ახმეტელი, საუზმე გათავდა. მისტერ უორდროპმა მასპინძლებს მადლობა გადაუხადა, იმავე დღეს კახეთში მიემგზავრებოდა. გვარდიამ, ცხენოსანმა ხალხმა და მრავალმა ეტლებმა კარდენახამდე მიაცილეს. გზა და გზა სოფლელები მოგროვილიყვნენ და ინგლისელებს სალამს აძლევდნენ. კარდენახში ვახვახიშვილის სახლთან აუარებელი ხალხი ვაშას ძახილით მიეგება. აქ უორდროპის ძველმა ნაცნობმა ვახვახიშვილმა მიიპატიჟა და შემდეგ გურჯაანში გააცილეს. ქიზიყიდან თან გაიყოლეს სანდრო შანშიაშვილი. ასეთივე აღტაცებით მიეგება თელავის საზოგადოება. აქაც დაათვალიერა შესამჩნევი ადგილები. ინახულეს მეფე ერეკლეს ოთახი. თელავიდან გამოემგზავრნენ წინანდალში სახელმწიფო ზვრის დასათვალიერებლად.

„ივ.“ № 2.

## სტატისტიკური კურსები.

საქართველოს რესპუბლიკის ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი მართავს მცირე ვადიანს სტატისტიკურ კურსებს ერობათა, ქალაქთა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა სტატისტიკური განყოფილების მუშაკების მოსამზადებლად.

კურსებზე მიიღებიან უფასოთ ის პირნი, რომელთაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებანი გამოგზავნიან, იქ მყოფ თანამშრომელთა რიცხვიდან და კანდიდატები, რომელნიც ჩარიცხული არიან რომელიმე თანამდებობაზე,—აგრეთვე კერძო პირნი, რომელნიც გადიხდიან 50 მან. მთელი კურსისთვის. კურსის ნაყოფიერ შესწავლისთვის სასურველია რაიმე განათლების ცენზი.

კურსი გაიხსნება ნოემბრის 15 და გაგრძელდება 5 კვირა. ლექციებს წაიკითხავენ საღამოობით 5—6 საათზე.. ლექტორთა და ხელმძღვანელთა შემადგენლობა შემდეგია: ან-ბანით), გ. მ. ბენაშვილი, დოცენტი გ. ნ. გეხტიმნი, ს. ვ. გოგილაძე, ა. მ. გონჩაროვი, დ. გ. დინოგოროდცევი, დოცენტი ს. ს. კონი, მ. ნ. მანდელშტამი, მ. ნ. სმირნოვი, ს. ნ. ტიმოფეევი, მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. გ. ხომერიკი.

საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომელთაც სურთ გამოგზავნონ მსმენელები კურსებზე, ვალდებული არიან ეხლავე ტელეგრამით შეატყობინონ ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს, თუ რამდენ პირს გზავნიან კურსებზე.

მიღებულია ზომები უფასო ბინის შესახებ გამოგზავნილ პირთათვის. კერძო პირთ ჩაწერა სწარმოებს ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტის ბინაზე პეტრე დიდის ქ. № 12.

## მაჩვენებელი.

**საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოსასმენად დანიშნული საქმეებისა.**

1919 წ. ნოემბრის 20 ქ. ტფილისში დილის 10 საათ.

1. საქმე № 12. მაგ. 1. საკასაციო საჩივრები იუსტინე თულარიანისა, იპოლიტე ახალაიასი, მიხეილ ბოკუჩავასი, ბიქტორ არეშიძასა და ბოკუჩავას დამცველის ნაფ. ვექ. მ. ჭავარიანისა ქუთაისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზედ, ბრალდებათ დანაშაული, გათვალისწინებული 1629, 1632 და სხვ. მუხ. სასჯ. დებ.

2. საქმე № 6. საკასაციო საჩივარი ევგენი ბენდელიანისა, აკაკი ებრალიძისა და მიხეილ შელიასი სოხუმის დროებით საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდებათ დანაშაული, გათვალისწინებული 1630 და 1632 მუხ. სასჯ. დებ.

3. საქმე № 17. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ მიხეილ (მუშნი) მარშანიასი და სერგო სანაძის რწმუნებულის ნაფ. ვექ. ზახაროვისა სოხუმის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდებათ დანაშაული, გათვალისწინებული 14 და 1681 მ. სასჯ. დებ.

4. საქმე № 78. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ მიხა ბესოს ძის ბახტაძის დამცველის ნაფიც ვექ. კონსტ. ჯაფარიძისა ტფილისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბახტაძეს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 2 ნაწ. 1454 მუხ. სასჯ. დებ.

5. საქმე № 77. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ იბრაგიმ ოსმანოვ აბედი ოღლისა სოხუმის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდება დანაშაული გათვალისწინებული 1630 და 1632 მუხ. სასჯ. დებ.

6. საქმე № 4. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ გიორგი ეგნატეს ძის სხილაძისა ტფილისის დროებით საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული სასჯ. დებ. 294 მუხ.

## მუშათა ცხოვრება

**საავადმყოფო კასის შესახებ.**

ქალაქის საერთო საავადმყოფო კასის გამგეობამ მწარმოებლებს წინადადება მისცა ყოველ დღიურად წესიერად აუწყონ კასას ცნობები ავათ გამხდარ მუშათა რიცხვი, მათი გვარი, სახელი და მისამართი. კასა იმყოფება რუსთაველის პროსპექტზე, № 17, არამიანცის სახლის მესამე სართულში. კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 5—7 ს.

გუბ. შრომის კომისარის განკარგულებით ქალაქის საერთო კასას შეუერთდენ ტფილისის სადალაქოთა, ქალაქთა კავშირის, ლოლაძის ლიმონადის ქარხნის და სატრანსპორტო საზოგადოების მუშები.

**რესტორანების მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის წესი.**

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატი ამჟამათ იხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ ახალი რესტორანების, სასტუმროების და სხვა მაგვარ დაწესებულებათა გასახსნელად ნებართვის მიცემის დროს ქალაქის გამგეობამ განუცხადოს, რომ მათ უნდა შეასრულონ 14 იანვრის დეკრეტი, რომლის ძალითაც მოსამსახურეთა მიღება - დათხოვნა პროფესიონალურ კავშირთა საშუალებით უნდა სწარმოებდეს.

**ნაჭრობით მუშაობის შემოღება რკინის წარმოებაში.**

თანახმად სატარიფო პალატის დადგენილებისა შესდგა ცალკე კომისია შრომის კომისარის თავმჯდომარეობით, რომელმაც განიხილა ნაჭრობით მუშაობის შემოღება არსენალის შემდეგ განყოფილებებში:

1) თოფის და ტყვიის მფრქვეველების ნაწილში შესაძლებლად სცნო კომისიამ ნაჭრობით მუშაობის შემოღება;

2) ტყავეულების სამუშაოთა განყოფილებაში შესაძლებელია;

3) ხის დასამუშავებელ ნაწილში შესაძლებელია, თუ მუშაობა დიდი იქნება;

4) სამოდელო ნაწილში შეუძლებელია;

5) სამღებრო ნაწილში შესაძლებელია, თუ სამუშაო ბევრი იქნება;

6) საინსტრუმენტო ნაწილში შესაძლებელია;

7) ტოკართა ცეხში ნაჭრობით მუშაობა შესაძლებელია, თუ დიდი იქნება სამუშაო;

8) საზეინკლო ნაწილში შესაძლებელია, თუ სამუშაო დიდი იქნება და თუ შემფასებელ კომისიაში პარიტეტული წარმომადგენლობა იქნება;

9) სამჭედლო ნაწილში შესაძლებელია, თუ ბევრი სამუშაო იქნება;

10) რკინის ჩამოსხმის ნაწილში შესაძლებელია, თუ ნამუშევარის შეფასება წონის მიხედვით მოხდება.

## მილიციაში.

სისხლ. სამ. მილიციამ 12 ნოემბერს დააპატიმრა: 1. ალექსანდრე სუკოვიცინი—ქურდი, 2. ივანე პორტნოვი—ქურდი, 3. სედრაკ ალექსანოვი—ქურდი, 4. მუკუჩ მორტიროსოვი—ქურდი, რომლებიც 13 ნოემბერს გადაეცენ ქალაქ. მილიციის უფროს და ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებული არიან პორტნოვი და ალექსანოვი 1 თვით, მარტიროსოვი 2 თვით და სუკოვიცინი 3 თვით.

## სხვა და სხვა.

14 ნოემბერს ერევნიდან ტფილისში ჩამოვიდა სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე 6 წევრითურთ.

◆ ნავთლუღის სადგურზე კონდუქტორი იაკობ ქიდკინი მატარებლის ქვეშ მოჰყვა და ძლიერ დაშავდა.

◆ ქუთაისის სადგ. № 47 მატარებლის ქვეშ მოჰყვა მოქ. ჯოხაძე, რომელსაც ფეხი მოეჭრა.

◆ დარია კოჩერჩინამ განუცხადა სისხლის სამ. მილიც., რომ მას მოჰპარეს სახლის ავეჯეულობა, ღირებული 20,000 მან. ამ საქმის გამო სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ალექსანდრე რუკავიცინი და მისი ამხანაგი ივანე პორტნოვი, ორივე რეციდივისტები.

◆ რადგან გამომჟღავნებულია ჭირი ოთხფეხა საქონელზედ მე-2 და მე 13 კომისარიატებში, ქალაქის სამმართველო მიჰმართავს ქალაქის მცხოვრებთ თხოვნით დაუყონებლივ გამოაცხადონ ყველა შემთხვევები ავადმყოფობისა, ოთხფეხა საქონელზედ. თვით ქალაქ ტფილისში ქალაქის უბნებას ვეტერინარ ექიმებთან, მიაღებად შესაფერ ზომისა. 1, 2, 3, 4, 5, და 13 კომისარიატებში გამოეცხადოს ვეტერინარ-ექიმს ვ. ს. ოგაჯანოვს, რომელიც სცხოვრობს კადეტის ქუჩაზე № 2 ბინა № 9, ან მიკროსკოპიულ სადგურზედ გრაფის ქუჩა № 14, ტელეფ. № 1007. სამ საათამდის, და აგრეთვე ვეტერინარ-ფერშალს ბ. ფ. ბრეხოვს, ობსერვატორის ქუჩა № 8, და ფერშალს ი. ტ. სპელიანსკას, პოგრანიჩნის ქუჩა № 366. 7 და 8 კომისარიატებში უპნია ვეტერინარ-ექიმა ვ. კ. დ. დებრუგს, სცხოვრობს იზმაილოვის ქ. № 22 და ვეტერინარ ფერშალს ა. ა. იაროსლავცევს მარტყოფის ტუპიკი № 5 სახლი ეფიმოვისა. კომისარიატებში მე 9, 10, 11 და 12 გამოეცხადოს ვეტერინარ-ექიმს ვ. ა. ლანგს მცხოვრებს ტფილისის ქალაქის სასაკლაოზედ ან და მიკროსკოპიულ სადგურზედ ტელეფონით № 873 ვაგზლის ქუჩა და აგრეთვე ვეტერინარ-ექიმს პ. ა. ზელენკოვს „ვოენის“ ქუჩა № 7 და ბრიკის ოლღას ქუჩის ბოლოს, მდინარე „ვერის“ იქით ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის გვერდით, სახლი ვურდენლიხისა.

## ოქმი

## პირველ ქართულ ლატარიის გათამაშებისა.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლ. 8 დეკემბრისა № 13.628 ნებართვისა და მის მიერ დამტკიცებულ წესების თანახმად, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის 1919 წლ. 17 აპრილისა № 1.640/3.370, ნებართვის თანახმად ქალ. ტფილისში, სახელმწიფო თეატრში, 2 ნოემბერს 1919 წ. საჯაროდ გათამაშებულ იქნა პირველი ქართული ქართული ლატარია სახელმწიფო უნივერსიტეტისა, ქართული თეატრისა და ქართულ მსახიობთა კავშირის სასარგებლოდ, ლატარიის მომწყობ საბჭოს თავმჯდომარის პროფესორი ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით. გათამაშებას დაესწრენ: საქართველოს მთავრობის წარმომადგენელნი განათლების მინისტრი ნოე რამიშვილი, განათლების მინისტრის ამხანაგი ნოე ცინცაძე, ფინანსთა მინისტრის წარმომადგენელი ალექსანდრე კანდელაკი, საქართველოს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის წარმომადგენელი—ექვთიმე თაყაიშვილი და სვიმონ მდივანი და დამფუძნებელ კრების წევრნი.

სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი, ბანკის გამგეობის უფროსი მდივანი ვლ. ვიხორი. ამიერ კავკასიის ბანკის წარმომადგენელი იასონ ლორთქიფანიძე, სამეურნეო ბანკის წარმომადგენელი ვასილ ყიფიანი და პართენ გოთუა, ქ. ტფილისის მოურავი ბ-ნი ბ. ჩხიკვიშვილი და ქ. ტფილისის გამგეობის წევრნი—ტფილისის ერობის თავმჯდომარე ბ-ნი დავ. ონიაშვილი და ტფილისის ერობის გამგეობის წევრნი ლატარიის მომწყობ საბჭოს თავმჯდომარე პროფ. ივ ჯავახიშვილი, წევრები ვას. ყიფიანი, ექვთ. თაყაიშვილი, იას.

ლორთქიფანიძე, ალ. გაჩეჩილაძე და ნიკ. ჟღენტი. ლატარიის წარმოების გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი ლასხიშვილი, საპატიო წევრნი—ქ-ნნი მარიამ რამიშვილისა, ნინო გაბაშვილისა, გამგე—დირექტორი სოლომონ ახვლედიანი, პრესის და საქართველოს დეპუტატთა სააგენტოს სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და გარეშე პირნი. მდივნებად იყვნენ ნინო დადიანისა, ვუკ. ბერიძე, გრიგოლ ჯანელიძე' ივ. პაჭკაძე, ნიკ. სირბილაძე.

გათამაშებულ იქნა ორასი ათასი ბილეთი, დაყოფილი ოთხას სერიათ: რიცხვი მოგებათა ორი ათას სამას ოთხმოცდა ცამეტი (2.393) სულ ხუთასი ათასი მანეთისა, სახელდობრ: ერთი ბილეთი—ასი ათასი (100,000) მანეთის მოგებისა; ერთი ბილეთი—ორმოცდაათი ათასი (50,000) მან.; ერთი ბილეთი—ოცდახუთი ათასი (25.000) მან.; ორი ბილეთი—თითო ათი ათასი (10,000) მანეთისა; სამი ბილეთი—თითო ხუთი ათასი (5,000) მან; ხუთი ბილეთი—თითო ერთი ათას მან. (1000 მ.) ორმოცდა ათი ბილეთი თითო ხუთას (500) მანეთისა; ასოთხმოცი (180) ბილეთი—თითო ორას ორმოცდაათი (250) მან. ორი ათას ას ორმოცდაათი ბილეთი—თითო ასი მანეთისა.

გასათამაშებლად დადგმულ იქნა სამი ურნა: ერთში—სერიის ნომრები ერთიდან ოთხასამდე, მეორეში ჩაყრა ბილეთების ნომრები ერთიდან ხუთასამდე და მესამეში—მოგებათა რაოდენობა, ორი ათას სამას ოთხმოცდაცამეტი (2,393) ბილეთი მოგების აღნუსხვით.

ჟურნალ „ნაკადული"ს რედაქციისაგან გამოგზავნილ ბავშვების მიერ ამოღებულ იქნა ერთდროულად ორ პირველ ურნიდან თითო ბილეთი, ხოლო მოგების გამოსარკვევად მესამე ურნიდან აგრეთვე ერთი ბილეთი.

პირველ და მეორე ურნიდან ოთხას-ოთხასი ბილეთის ამოღების და მეორე ურნიდან დარჩენილ მოუგებელ ას ბილეთის ამოკრების შემდეგ, პირველ ურნაში კვლავ ჩაიყარა ოთხასი ბილეთი სერიისა და მეორეში ხუთასი ნომრები და ბავშვები განაგრძობდნენ ბილეთების ამოკრეფას ზემოხსენებულ წესით მანამდე, სანამ არ ამოიწურა მოგებათა რაოდენობა მესამე ურნიდან. გათამაშება სამ დღეს გაგრძელდა: 2, 3 და 4 ნოემბერს. ყოველ დღე გათამაშების შეწყვეტისთანავე მოგების რაოდენობათა შემცველი ურნა შეკრული და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბეჭდით ლუქით დაბეჭდვის საგანგებო კომისიის მიერ ვ. ყიფიანისა, ივ. ჯავახიშვილისა და გ. ლასხიშვილის მიერ, სამეურნეო ბანკის დაუწვავ კასაში იყო ხოლმე შენახული. იგივე კომისია გარეშე პირთა თანდასწრებით მეორე დღეს შეამოწმებდა ხოლმე ბეჭდების ხელუხლებლობას და ხოლოდ ამის შემდეგ ხსნიდა ურნას გათამაშების გასაგრძელებლად.

გაყიდველი ბილეთები განსაკუთრებულ ოქმში აღნიშნულ წესით იქნა დათვლილი და შეკრული საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამგეობის თანდასწრებით და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბეჭდის დასმით. თუ მოგება რომელსამე ამ ბილეთთაგანს ხვდა, ეს მოგება გადაირიცხება ზემოხსენებულ დაწესებულებათა (უნივერსიტეტისა, თეატრისა და მსახიობთა კავშირის) შორის გასანაწილებელ ფონდში მათშორის დადებულ პირობაში აღნიშნული პროპორციის თანახმად. გათამაშების სრული ანგარიში, ისე იგი მომგებ ბილეთების აღნუსხვა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" იბეჭდება. მომგებმა თავის ბილეთი უნდა ლატარიის გამგეობას წარმოუდგინოს, რომელიც მოვლეა ბილეთი შეამოწმოს და ძირედთან შედარებით და სხვა გვარადაც მისი სინამდვილე და ყალბ შეუტ ნილობა გამოარკვიოს. როდესაც მოგება 500 მან. აღემატება, მომგებმა თავისი ბილეთი შესამოწმებლად სამი დღით გამგეობას უნდა დაუტოვოს, რომელიც ბილეთის მიღების შესახებ მომგებს სათანადო ხელწერილს აძლევს, ხოლო თვით ბილეთზე მომგებს ხელს მოაწერინებს. სამი დღის შემდგომ, როდესაც ბილეთის სინამდვილე გამორკვეული იქნება, თუ მოგება 500 მან. არ აღემატება, ფულს პირდაპირ კონტორაშივე მიიღებს, რის შემდეგომაც მას ბილეთები და ფულის მიღების ხელწერილი ჩამოერთმევა. თუ მოგება 500 მან.—ზე მეტია გამგეობა ბილეთისა და ხელწერილის საბოლოოდ ჩამორთმევისთანავე მომგებს მოგების რაოდენობის შესაფერისს სამეურნეო ბანკის ჩეკს მისცემს, საიდანაც ჩეკის წარმდგენი დაუყონებლივ ფულს მიიღებს.

მოგება შემდეგ ბილეთებს ხვდა.

ლატარიის საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ივ. ჯავახიშვილი.

ლატარიის გამგეობის თავმჯდომარე გ. ლასხიშვილი.

გამგე დირექტორი სოლ. ახვლედიანი.

# ნუსხა

## პირველ ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთებისა.

| სერ. №№ | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 247—100 | 219—100 | 85—100 | 172—250 | 262—100 | 102—100 |
| 2 | 319—100 | 499—100 | 198—100 | 55—100 | 11—250 | 14—100 |
| 3 | 304—100 | 441—100 | 8—100 | 469—100 | 445—100 | 196—100 |
| 4 | 452—100 | 205—100 | 88—100 | 303—100 | 2 6—100 | 354—100 |
| 5 | 326—500 | 149—100 | 380—100 | 371—100 | 240—100 | 215—100 |
| 6 | 73—100 | 305—100 | 95—250 | 313—100 | 236—100 | 151—100 |
| 7 | 80—100 | 363—100 | 397—100 | 263—100 | 421—100 | 58—100 |
| 8 | 192—100 | 202—100 | 310—100 | 13—100 | 391—100 | 104—100 |
| 9 | 268—250 | 225—100 | 318—100 | 63—100 | 470—100 | 136—100 |
| 10 | 354—100 | 27—100 | 489—250 | 253—100 | 440—100 | 416—100 |
| 11 | 119—100 | 165—100 | 325—100 | 404—100 | 51—100 | 274—100 |
| 12 | 92—100 | 476—100 | 324—100 | 333—250 | 489—100 | 491—100 |
| 13 | 14—100 | 372—100 | 283—500 | 208—100 | 24—100 | 137—100 |
| 14 | 259—100 | 497—250 | 262—100 | 31—100 | 224—100 | 186—100 |
| 15 | 210—100 | 313—100 | 295—250 | 351—100 | 60—100 | 31—100 |
| 16 | 240—100 | 289—100 | 349—100 | 252—100 | 398—100 | 385—100 |
| 17 | 41—100 | 361—100 | 355—250 | 458—100 | 259—100 | 157—100 |
| 18 | 29—100 | 71—100 | 102—250 | 285—100 | 26—100 | 36—100 |
| 19 | 486—100 | 291—100 | 300—100 | 322—100 | 229—100 | 387—100 |
| 20 | 374—100 | 473—250 | 329—100 | 154—250 | 226—100 | 174—100 |
| 21 | 25—100 | 282—100 | 62—100 | 392—100 | 341—100 | 318—100 |
| 22 | 155—100 | 174—100 | 215—100 | 321—100 | 295—100 | 194—100 |
| 23 | 275—100 | 314—100 | 126—100 | 43—100 | 488—250 | 429—100 |
| 24 | 191—100 | 233—100 | 476—100 | 306—100 | 83—100 | 76—250 |
| 25 | 141—100 | 391—100 | 257—100 | 24—100 | 338—100 | 42—100 |
| 26 | 342—500 | 259—100 | 141—100 | 313—100 | 37—100 | 102—100 |
| 27 | 117—100 | 81—100 | 65—100 | 132—100 | 460—100 | 487—100 |
| 28 | 186—100 | 20—100 | 155—100 | 162—100 | 17—100 | 349—100 |
| 29 | 233—100 | 402—100 | 164—100 | 203—100 | 448—100 | 293—100 |
| 30 | 343—100 | 407—250 | 186—100 | 475—100 | 442—100 | 402—100 |
| 31 | 108—100 | 216—100 | 142—100 | 395—100 | 448—100 | 325—100 |
| 32 | 478—100 | 383—100 | 171—100 | 274—100 | 466—100 | 77—100 |
| 33 | 104—100 | 152—100 | 61—100 | 463—100 | 295—100 | 45—100 |
| 34 | 244—100 | 304—100 | 180—100 | 64—100 | 317—100 | 198—100 |
| 35 | 396—100 | 224—100 | 367—100 | 13—100 | 447—100 | 494—100 |
| 36 | 402—100 | 383—100 | 376—100 | 323—100 | 233—100 | 230—100 |
| 37 | 384—100 | 129—100 | 447—250 | 352—100 | 460—100 | 480—100 |
| 38 | 441—100 | 142—100 | 360—100 | 373—100 | 7—100 | 457—100 |
| 39 | 264—100 | 143—100 | 149—100 | 282—100 | 400—100 | 215—100 |
| 40 | 345—100 | 489—100 | 398—100 | 324—100 | 394—100 | 382—100 |
| 41 | 158—100 | 342—100 | 465—100 | 350—100 | 476—100 | 220—100 |
| 42 | 5—100 | 327—100 | 393—100 | 19—100 | 181—100 | 278—250 |
| 43 | 334—250 | 30—5.000 | 469—100 | 199—500 | 89—100 | 6—100 |
| 44 | 98—100 | 387—100 | 429—100 | 466—100 | 200—100 | 229—100 |
| 45 | 146—100 | 391—100 | 272—100 | 490—100 | 315—100 | 111—100 |
| 46 | 393—100 | 227—100 | 316—100 | 420—100 | 441—100 | 109—100 |
| 47 | 136—100 | 490—100 | 127—100 | 143—100 | 369—100 | 273—250 |
| 48 | 13—100 | 430—100 | 74—100 | 407—100 | 439—100 | 34—100 |
| 49 | 10—100 | 157—100 | 283—100 | 342—100 | 101—100 | 298—100 |
| 50 | 91—100 | 322—100 | 352—100 | 199—100 | 462—100 | 173—100 |
| 51 | 93—100 | 157—100 | 438—100 | 290—100 | 285—100 | 353—100 |
| 52 | 339—100 | 276—100 | 286—100 | 254—250 | 66—100 | 68—100 |
| 53 | 90—100 | 32—100 | 237—100 | 472—100 | 134—100 | 369—100 |
| 54 | 308—100 | 282—100 | 294—100 | 21—100 | 425—100 | 126—5.000 |
| 55 | 454—100 | 128—250 | 463—100 | 104—100 | 193—100 | 21—100 |
| 56 | 332—100 | 399—100 | 192—100 | 434—100 | 91—100 | 124—100 |
| 57 | 350—250 | 469—100 | 8—100 | 356—100 | 473—100 | 265—250 |
| 58 | 327—100 | 13—100 | 488—100 | 132—250 | 49—100 | 64—100 |
| 59 | 161—100 | 168—100 | 374—100 | 436—100 | 185—100 | 65—100 |
| 60 | 148—100 | 478—100 | 340—100 | 117—100 | 384—500 | 500—100 |
| 61 | 152—100 | 381—100 | 338—100 | 266—100 | 2 9—100 | 326—100 |
| 62 | 67—100 | 285—100 | 190—250 | 99—100 | 397—100 | 275—100 |
| 63 | 405—100 | 86—100 | 163—100 | 230—100 | 449—250 | 55—100 |
| 64 | 198—100 | 89—100 | 212—100 | 39—250 | 464—100 | 189—100 |
| 65 | 252—100 | 453—100 | 200—100 | 360—100 | 139—100 | 82—100 |
| 66 | 272—100 | 35—100 | 422—100 | 95—100 | 238—100 | 476—100 |
| 67 | 436—100 | 146—100 | 228—100 | 146—100 | 438—100 | 40—100 |
| 68 | 261—100 | 352—100 | 116—100 | 304—500 | 188—500 | 354—1.000 |
| 69 | 422—250 | 7—100 | 169—100 | 181—100 | 234—100 | 67—100 |
| 70 | 174—100 | 395—100 | 500—100 | 326—100 | 119—250 | 394—100 |
| 71 | 386—100 | 356—100 | 167—100 | 190—100 | 110—100 | 404—100 |
| 72 | 145—100 | 362—100 | 256—100 | 137—100 | 390—100 | 218—100 |
| 73 | 251—250 | 397—100 | 448—100 | 161—100 | 323—250 | 334—100 |
| 74 | 329—100 | 466—100 | 454—250 | 149—100 | 481—100 | 78—100 |
| 75 | 32—100 | 121—100 | 189—100 | 161—100 | 50—100 | 284—100 |
| 76 | 127—100 | 13—100 | 456—100 | 471—100 | 59—100 | 91—100 |
| 77 | 231—100 | 5—100 | 374—100 | 275—100 | 44—100 | 97—100 |
| 78 | 400—100 | 54—100 | 265—100 | 201—100 | 415—100 | 206—100 |
| 79 | 442—250 | 72—100 | 359—100 | 337—100 | 465—100 | 133—100 |
| 80 | 310—100 | 292—100 | 301—100 | 75—100 | 321—100 | 34—100 |
| 81 | 38—100 | 52—100 | 53—100 | 432—100 | 447—250 | 205—100 |
| 82 | 232—100 | 341—100 | 379—100 | 234—100 | 179—100 | 92—100 |
| 83 | 248—100 | 241—100 | 78—100 | 422—100 | 32—100 | 466—100 |
| 84 | 471—500 | 422—100 | 209—100 | 131—100 | 276—100 | 267—100 |
| 85 | 143—100 | 321—100 | 116—100 | 77—500 | 320—100 | 461—100 |
| 86 | 433—100 | 28—100 | 244—100 | 93—100 | 29—100 | 1 7—100 |
| 87 | 364—100 | 40—100 | 60—100 | 438—100 | 177—100 | 108—100 |
| 88 | 292—100 | 251—100 | 412—100 | 13—100 | 4—250 | 308—100 |
| 89 | 70—100 | 324—100 | 328—100 | 389—100 | 171—100 | 414—100 |
| 90 | 107—100 | 307—100 | 355—100 | 349—100 | 80—100 | 8—100 |
| 91 | 387—100 | 276—100 | 123—100 | 221—100 | 431—100 | 455—100 |
| 92 | 294—100 | 491—100 | 187—100 | 408—100 | 404—100 | 208—100 |
| 93 | 474—100 | 409—100 | 175—250 | 416—100 | 206—100 | 68—100 |
| 94 | 50—100 | 128—100 | 162—100 | 239—100 | 189—100 | 359—500 |
| 95 | 179—100 | 97—100 | 19—100 | 69—100 | 97—100 | 221—100 |
| 96 | 494—100 | 396—100 | 26—100 | 12—100 | 461—100 | 446—100 |
| 97 | 356—100 | 331—100 | 100—100 | 62—100 | 475—100 | 267—100 |
| 98 | 44—250 | 10—100 | 442—100 | 206—100 | 449—100 | 238—100 |
| 99 | 467—100 | 491—100 | 190—100 | 201—100 | 366—100 | 152—100 |
| 100 | 483—100 | 457—100 | 125—100 | 48—100 | 101—100 | 73—100 |
| 101 | 390—100 | 296—100 | 75—100 | 225—100 | 197—500 | 283—100 |
| 102 | 255—100 | 292—100 | 268—100 | 96—100 | 395—100 | 380—100 |
| 103 | 254—100 | 319—100 | 425—100 | 477—100 | 269—250 | 213—100 |
| 104 | 49—250 | 279—100 | 61—100 | 345—250 | 286—100 | 261—100 |
| 105 | 28—100 | 277—100 | 447—100 | 125—250 | 26—100 | 186—100 |
| 106 | 328—500 | 40—100 | 193—100 | 60—100 | 130—100 | 337—100 |
| 107 | 236—100 | 33—100 | 376—100 | 70—100 | 467—100 | 182—100 |
| 108 | 423—100 | 80—100 | 211—100 | 113—100 | 2 3—100 | 32—100 |
| 109 | 225—100 | 295—100 | 104—100 | 264—100 | 152—100 | 101—100 |

გაგრძელება იქნება.

## განცხადებანი

საქართველოს რკინისგზების მართველობა ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ა. წ. 22 ნოემბერს, დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი: ბორჯომიდან ტფილისი, რიგ. № 647- სატვ. ბარ № 99520-5 ც. წონით 21 ფ. 15 გ. ბორჯომიდან ტფილისი რიგ. № 605, სატვ. ბარ. № 52457 1ც- 3 ფ. 25 გ. გორიდან-ტფილისი, რიგ. № 619-სატ. ბარ. № 80433. 1 ც.- 2 ფ. 13 გ. სამხრეთიდან-ტფილისი რიგ. №621-სატვ. ბარ. № 13499. 1 ც.- 1 ფ. 10 გ. ბაქოდან-ტფილისი, რიგ. № 618-ს. ბარ. № 59745933 1 ც. 1 ფ 20 გ. ბორჯომიდან-ტფილისი, რიგ. № № 604, 606, 607, 608, 609, სატვ. ბარ. №№ 53458, 53459, 53462, 53461 და 53460 1ც. 4 ფ. 1 4 ფ. 31 გ. 1 ც. 5 ფ., 1 ც. 4ფ. 17 გ. და 1 ც. 509.

უსაბუთო ბარგი: აქტი სადგ. ტფილისი № 2370-რიგ. № 568- 1ც-5ფ-ტვირთი: ბორჯომიდან-ტფილისი, რიგ. № 652 სატვ. ბარ. № 99638 16 ც. ცარიელი ბოჩკები წონ 32 ფ. ბორჯომიდან ტფილისი, რიგ. № 648 სატვ. ბარ. № 99516 21ც. ცარიელი ტომრები-28ფ. 30 გ.

102 3—1

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის გათავების შესახებ, მიღებული 1913 წელში ვიქტორ ივანეს ძე ნოზაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3—2

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის გათავების შესახებ, მიღებული 1912 წელში პეტრე ივანეს ძე ჩხენკელის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 3—2

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 15 ნოემბრიდან დაიწყებს მოქმედებას მოხეტიალე ძაღლების დამჭერი არტელი. ძაღლები, რომლებსაც პატრონი არ მოითხოვს დაჭერის დღის 12 საათამდე ქალ. ცეცხგაუზიდან, და 3 დღის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოდან დახოცილი იქნებიან. დაბრუნებისას ძაღლის პატრონი ვალდებულია გადაიხადოს ძაღლის შენახვის ხარჯი და მაზე დადებული გადასახადი. 114 1—1

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა ქუთაისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის გათავების შესახებ, მიღებული 1912 წელში ქსენია ისაკის ასულის ლეჟავას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 3—2

დაკარგულია სიმწიფის მოწმობა, მიცემული ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიიდან 7 ივნისს 1913 წ. № 975 იაკობ ისიდორის ძე რამიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 123 3-1

იოსებ იაკობის ძე კარაპეტიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და სხვა დოკუმენტები, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს 102 3—3

გიორგი სიმონის ძე ღლონტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული რევოლვერის ტარების მოწმობა, და მოწმობა მიღებული ტფილ. სამოქ. სადგ. კომიტეტიდან. მპოვნელს სთხოვს დაუბრუნოს მოწმობები შემდეგი მისამართით: ტფილ. საქ. სადგ. გიორგი ღლონტის, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულად ითვლება. 85 3—2

არუთინ მნაცაკანის ძე არუთინიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 104 3—2

ერვანდ სააკის ძე პეტროსიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 107 3—2

ნიკოლოზ ცხვედიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქუთაისის კომისარიატიდან აღებული პასპორტი და პირველ ქართულ ლეგიონიდან აღებული სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბარათი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 106 3—1

დაკარგულია მოწმობა № 96 შალვა ზალის ძე ვარსიმაშვილის სახელზე, მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტიდან. მოწმობა გაუქმებულად ითვლება.